არასამეწარმეო [არაკომერციული] იურიდიული პირი

„საქართველოს ელექტრონული კომერციის პალატა“
E-trade Chamber of Georgia

წ ე ს დ ე ბ ა

თბილისი
2022 წ.

1.1. **„საქართველოს ელექტრონული ვაჭრობის პალატა"** [შემდგომ წინამდებარე დოკუმენტში შეიძლება მოხსენიებული იქნას როგორც „პალატა"] წარმოადგენს არასამეწარმეო არაკომერციულ იურიდიულ პირს.

1.2. საფირმო სახელწოდება:

1.2.1. ქართულად: **„საქართველოს ელექტრონული ვაჭრობის პალატა"**

1.2.2. ლათინურად: "**E-trade Chamber of Georgia"**

1.3. სამართლებრივი ფორმა: არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიულ პირი.

1.4. იურიდიული მისამართი: **თბილისი, ვასილ პეტრიაშვილის ქუჩა N 3/5, ლიტერი „ა"**

1.5. ელ. ფოსტა: anastasiaisakadze@gmail.com; **useturi@gmail.com**

1.6. პალატა წარმოადგენს წევრობაზე დაფუძნებულ არასამეწარმეო არაკომერციულ იურიდიულ პირს.

1.7. პალატა შექმნილია განუსაზღვრელი ვადით.

1.8. პალატა მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის, წინამდებარე წესდების და სხვა შიდა მარეგლამენტირებელი დოკუმენტების შესაბამისად.

1.9. პალატას აქვს დამოუკიდებელი ბალანსი და იურიდიული პირის სხვა ატრიბუტიკა, უფლება აქვს ჰქონდეს საბანკო ანგარიშები.

1.10. პალატა უფლებამოსილია შექმნას ფილიალები და წარმომადგენლობები როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ.

1.11. პალატა საკუთარი სახელით დებს გარიგებებს, იგი ფლობს ქონებას, უფლებამოსილია განახორციელოს ქონებრივი და პირადი არაქონებრივი უფლებები. იყოს მოსარჩელე ან/და მოპასუხე სასამართლოში.

1.12. პალატა თანამშრომლობს სხვა ორგანიზაციებთან, აგრეთვე სახელმწიფო სტრუქტურებთან, უფლებამოსილია დაამყაროს სამუშაო კონტაქტები საერთაშორისო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან.

1.13. პალატა თავისი წევრის [წევრების], აგრეთვე ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის [პირების] მდგომარეობისაგან დამოუკიდებელია. პალატის პასუხისმგებლობა შემოიფარგლება მისი ქონებით. არასამეწარმეო [არაკომერციული] იურიდიული პირის ვალდებულებებისათვის მისი წევრები, აგრეთვე მისი ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი [პირები] პასუხს არ აგებენ. პალატა ასევე არ აგებს პასუხს საკუთარი წევრების, აგრეთვე თავისი ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის [პირების] ვალდებულებებისათვის.

1.14. პალატაში დოკუმენტბრუნვა, ასევე წევრებს და თანამდებობის პირებს შორის შეტყობინებების გაცვლა შესაძლებელია განხორციელდეს ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, ასეთი ფორმით განხორციელებულ შეტყობინებებს/გაგზავნილ დოკუმენტებს და ინფორმაციას აქვს იურიდიული ძალა და ითვლება პირის მიერ სამართლებრივი შინაარსის ნების გამოვლენად.

1.15. პალატა უფლებამოსილია ეწეოდეს დამხმარე ხასიათის სამეწარმეო საქმიანობას, რომლიდან მიღებული მოგებაც უნდა მოხმარდეს არასამეწარმეო [არაკომერციული] იურიდიული პირის მიზნების რეალიზებას. ასეთი საქმიანობის შედეგად მიღებული მოგების განაწილება არასამეწარმეო [არაკომერციული] იურიდიული პირის წევრებს,

შემომწირველებს, აგრეთვე ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირებს შორის დაუშვებელია.

2. მიზნები და ფუნქციები

2.1. პალატის მიზნები და ფუნქციებია:

2.1.1. საქართველოში ელექტრონული კომერციის ურთიერთობის საერთაშორისო და მაღალი ეთიკური სტანდარტების და პრაქტიკის დამკვიდრება.

2.1.2. ელექტრონული და ასევე არაელექტრონული ვაჭრობის სფეროში მომუშავე სპეციალისტების, მათ შორის საცალო და საბითუმო მოვაჭრეების, პლატფორმების მფლობელების, ინფორმაციის ჰოსტერების და გამტარების, მომხმარებების უფლებების დაცვის, ელექტრონული კომერციის სფეროსთან დაკავშირებული აკადემიური და კვლევითი ორგანიზაციების ასევე სხვა მომიჯნავე დარგის სპეციალისტების და კომპანიების მხადაჭერა, ხელშეწყობა და განვითარება;

2.1.3. მონაცემთა გადაცემის პროცესში (მათ შორის ელექტრონული კომერციის პროცესში) შუალედური სერვისი მიმწოდებლების (IXP) უფლებების და მოვალეობების იდენტიფიცირებაში და მათ დაცვაში დახმარება, მათ შორის შესაბამისი საექსპერტო/საგრანტო და სხვა სახის პროგრამების საშუალებით;

2.1.4. ონლაინ განთავსებული არალეგალური ან/და მავნე ზეგავლენის მქონე კონტენტის იდენტიფიცირებაში ხელშემწყობი ღონისძიებების განხორციელება;

2.1.5. ონლაინ განთავსებული არალეგალური ან/და მავნე ზეგავლენის მქონე კონტენტის შუალედური სერვისი მიმწოდებლების მიერ ჩამოხსნის წესების ორგანიზება;

2.1.6. ონლაინ განთავსებული არალეგალური ან/და მავნე ზეგავლენის მქონე კონტენტის თვითრეგულირების სახელმძღვანელოს შექმნის ორგანიზება;

2.1.7. კონკურენციის კანონმდებლობასთან მიმართებით საქმიანობაში ხელშეწყობა, მათ შორის მომხმარებელთა უფლებების კუთხით;

2.1.8. შრომის კანონმდებლობის, საგადასახადო საკითხების, უძრავი ქონების საკუთრების, კონკურენციის სამართლის და სხვა საკითხების შესახებ ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა;

2.1.9. ევროკავშირის ბაზარზე გასვლის ხელშეწყობა და DCFTA–ის შესახებ ცნობიერების გაზრდა მეწარმეებში;

2.1.10. პროფესიული გადამზადების სასწავლო დაწესებულებთან თანამშრომლობის ხელშეწყობა ციფრული მიმართულებით გადამზადების მოდულების შემუშავების და ახალი პროგრამების დანერგვის კუთხით

2.1.11. ელექტრონული კომერციის პროდუქტის შიპინგის და ფიზიკური მიწოდების ფასის შემცირების ხელშეწყობა;

2.1.12. ელექტრონული კომერციის პლატფორმების (სერვისის მიმწოდებლების) და შუალედური სერვისის მიმწოდებლებისთვის სხვადასხვა დახმარების/საგრანტო პროგრამების შესწავლა და დახმარების აღმოჩენა;

2.1.13. კომპანიების ციფრული ტრანსფორმაციის ხელშეწყობა (შიდა საწარმოო სოფტების განსაზღვრა და მცირე კომპანიებში დანერგვა) ამ მხრივ საერთაშორისო დახმარებების მოზიდვა;

2.1.14. მომხმარებლებისა და ონლაინ მოვაჭრეებს შორის დავების მოგვარების ონლაინ მექანიზმის შექმნა და ამ მექანიზმის შესაბამისობის ქონის დამადასტურებელი ნიშანდების (trust-mark) შემღება და მინიჭება ონლაინ პლატფორმებისთვის (მოვაჭრეებისთვის);

2.1.15. კანონმდებლობის შესაბამისად, საქართველოში ელექტრონული ვაჭრობის პლატფორმების მიმართ ნდობის და მისი გამოყენების წილის გაზრდა და პოპულარიზაცია;

2.1.16. პალატის წევრებს შორის ინფორმაციისა და ცოდნის გაცვლის უზრუნველყოფა, ასევე ახალი წევრების მიღების წახალისება და ურთიერთობების გაღრმავების ხელშეწყობა;

2.1.17. კონფერენციების, ფორუმების, სემინარების, შეხვედრებისა და ლექციების დაგეგმვა და ორგანიზება როგორც საერთაშორისო, ისე ქვეყნის შიგნით არსებული ელექტრონული ვაჭრობის საკითხებზე, მათ შორის პალატის წევრების აქტიური მონაწილეობით და ჩართულობით;

2.1.18. ადგილობრივ, რეგიონალურ და საერთაშორისო პარტნიორებთან, ევროპის კავშირის და სხვა ქვეყნების ორგანიზაციებთან და პალატებთან თანამშრომლობა პალატის მიზნების წარმატებით შესასრულებლად;

2.1.19. ელექტრონული კომერციის ურთიერთობებთან დაკავშირებული სხვადასხვა პროფესიული ჯგუფების მომზადება/გადამზადება;

2.1.20. პალატის ავტორობით ელექტრონული კომერციის სერტიფიცირებული პროგრამის შემოღება და დანერგვა საქართველოში;

2.1.21. საჯარო და კერძო სექტორს შორის დიალოგის ინიცირება და სისტემატიზაცია ელექტრონული ვაჭრობის სფეროს განვითარების მიზნით, ასევე კვლევების, სტრატეგიების, სამოქმედო გეგმების მომზადებაში და მის აღსრულებაში აქტიური ჩართვა მისი კომპეტენციის ფარგლებში;

2.1.22. აქტიური საერთაშორისო თანამშრომლობა და ლოკლაური გამოწვევების და გამოცდილების გაზიარება;

2.1.23. ფონდების [სახსრების] მოძიება დარგის განვითარებისათვის;

2.1.24. ელ-კომერციის ხელშეწყობი სხვადასხვა ღონისძიებების ორგანიზება

2.1.25. საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული ნებისმიერი სხვა საქმიანობა.

3. პალატის დამფუძნებელი წევრები

3.1. პალატის დამფუძნებელი წევრები:

3.1.1. უჩა სეთური, პირადი ნომერი 01012006210, პროფესიით იურისტი, მის: ქ. თბილისი, ვარკეთილის მე–4 მიკრორაიონი, მე–3 კვარტალი, მე–7 კორპ, ბინა 73, დაბადების თარიღი 27.02.1977

3.1.2. ანა ისაკაძე, პირადი ნომერი 01005042773, პროფესიით იურისტი, მის: ქ. თბილისი, ივ.ჯავახიშვილის N 95, დაბადების თარიღი 17.01.1997

3.1.3. გიორგი ზაკუტაშვილი, პირადი ნომერი 01007008934, პროფესიით ეკონომისტი, მის: ქ.თბილისი, აკ.წერეთლის გამზ. N77, მე-5 კორპ, ბინა 62, დაბადების თარიღი 11.07.1982

4. პალატის წევრობა

4.1. პალატის წევრი შეიძლება გახდეს ნებისმიერი ფიზიკური პირი, რომლის საქმიანობის სფერო დაკავშირებულია ელექტრონული ვაჭრორბის და სხვა მომიჯნავე დარგებთან, აქვს სფეროში მუშაობის სურვილი და იზიარებს პალატის მიზნებს და აღიარებს მის

წესდებას/შიდა მარეგლამენტირებელ სხვა დოკუმენტებს. წევრობის სხვა პირებზე გადაცემა დაუშვებელია.

4.2. პალატაში გაწევრებისთვის პირი განცხადებით მიმართავს პალატის მმართველ საბჭოს. მმართველი საბჭო განცხადების მიღებიდან 1 თვის ვადაში იღებს გადაწყვეტილებას პირის წევრად მიღების ან გაწევრებაზე უარის თქმის შესახებ.

4.3. პალატის დამფუძნებელი და შემდგომ გაწევრიანებული პირები [წევრები] თანაბარი სტატუსითა და უფლებამოსილებით სარგებლობენ.

4.4. პალატაში გაწევრებისთვის პირმა განცხადებასთან ერთად მმართველ საბჭოს უნდა წარუდგინოს:

4.4.1. პირადობის მოწმობის ასლი.

4.4.2. ბიოგრაფია [CV].

4.4.3. საწევრო გადასახადის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი [თუ საწევრო გადასახადი დაწესებულია].

4.5. პალატის წევრს უფლება აქვს:

4.5.1. აირჩიოს და არჩეულ იქნას პალატის მართვის ორგანოში.

4.5.2. მონაწილეობა მიიღოს პალატის საერთო კრების მუშაობაში, ასევე გაეცნოს პალატის მმართველი საბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს.

4.5.3. მიიღოს პალატის ორგანიზაციული და სხვა სახის დახმარება, გამოიყენოს მისი საერთაშორისო კონტაქტები და კომუნიკაციის არხები.

4.5.4. იყოს წევრი სხვა ნებისმიერი საზოგადოებრივი გაერთიანების, თუ ამ უკანასკნელის საქმიანობა და მიზნები არ ეწინააღმდეგება პალატის საწესდებო მიზნებსა და კანონიერ ინტერესებს.

4.5.5. თავისი სურვილით გავიდეს პალატიდან, რის შესახებაც წერილობით აცნობებს პალატის მმართველ საბჭოს.

4.6. პალატის წევრი ვალდებულია:

4.6.1. დაიცვას პალატის წესდება და სხვა შიდამარეგლამენტირებელი დოკუმენტები.

4.6.2. ხელი შეუწყოს პალატის საწესდებო მიზნებისა და დასახული ამოცანების პოპულარიზაციას და წარმატებით შესრულებას.

4.6.3. დროულად და დადგენილი წესით გადაიხადოს საწევრო გადასახადი.

4.6.4. პალატას წარუდგინოს ინფორმაცია იურიდიული და ფაქტობრივი მისამართის, საკონტაქტო ტელეფონის, ელექტრონული ფოსტის მისამართის და ამ მონაცემთა ცვლილებების თაობაზე, მისი წარმოშობიდან 10 დღის ვადაში.

4.6.5. თავისი საქმიანობით არ დაუპირისპირდეს პალატის საწესდებო მიზნებსა და კანონიერ ინტერესებს.

4.6.6. გაუფრთხილდეს პალატის სახელს, ღირსებასა და საქმიან რეპუტაციას, მის ფინანსურ და სხვა მატერიალურ ქონებას.

4.6.7. შეასრულოს პალატის შიდა დოკუმენტებით [ინტერესთა კონფლიქტის დებულება, ქცევის კოდექსი, საწევროს ადმინისტრირების წესი და ა.შ.] განსაზღვრული მოვალეობები.

4.7. პალატის წევრს უფლება არ აქვს რომ განცხადებები გააკეთოს ან იმოქმედოს პალატის სახელით, თუ მას არა აქვს პალატის საბჭოსაგან უფლებამოსილება მინიჭებული.

4.8. წევრს უფლებამოსილება უწყდება მმართველი საბჭოს გადაწყვეტილებით შემდეგ შემთხვევაში[1]:

4.8.1. საკუთარი განცხადების საფუძველზე.

4.8.2. საწევრო შენატანის გადაუხდელობის შემთხვევაში [თუ საწევრო დადგენილია].

[1] ამასთან საბჭოს გადაწყვეტილება არა არის საჭირო თუ წევრობა წყდება 4.8.1 პუნქტით განსაზღვრული წესით და განცხადების მიღება ავტომატურად იწვევს წევრობის შეწყვეტას.

4.8.3. სასამართლოს გადაწყვეტილებით ფიზიკური პირი წევრის მხარდაჭერის მიმღებად ცნობისას.

4.8.4. წევრი იურიდიული პირის ლიკვიდაციის ან გადახდისუუნარობის პროცესის დაწყებისას.

4.8.5. წევრი ფიზიკური პირის გარდაცვალებისას ან უგზო-უკვლოდ დაკარგულად/გარდაცვლილად აღიარებისას.

4.8.6. ისეთი ქმედების განხორციელებისას რომელიც ლახავს პალატის საქმიან რეპუტაციას, არღვევს წინამდებარე წესდებას, თავისი ქმედებით ხელს უშლის პალატის საქმიანობას [მათ შორის პერმანენტულად არ ესწრება საერთო კრებებს] - გარიცხვა.

4.8.7. წინამდებარე წესდების და პალატის სხვა შიდამარგლამენტირებელი დოკუმენტებით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში - გარიცხვა.

4.9. პალატის საპატიო წევრი:

4.9.1. პალატის საპატიო წევრი შესაძლებელია იყოს მაღალი პროფესიული რეპუტაციის მქონე ადგილობრივი და საერთაშორისო დარგის ექსპერტი, რომელიც მოიწვევა პალატის მმართველი საბჭოს მიერ და სარგებლობს მრჩეველთა [კონსულტანტის] სტატუსით.

4.9.2. საპატიო წევრის სტატუსით პირის არჩევის გადაწყვეტილების უფლებამოსილება ენიჭება პალატის მმართველ საბჭოს ხმათა ⅔-ით [ორი მესამედი].

4.9.3. საპატიო წევრი არ მონაწილეობს პალატის ყოველდღიურ საქმიანობაში და მართვაში.

4.9.4. პალატის საპატიო წევრი უფლებამოსილია, სურვილის შემთხვევაში, დაესწროს მმართველი საბჭოს ან/და სხვა სხდომებს, ასევე, მონაწილეობა მიიღოს პალატის მიერ დაგეგმილ ნებისმიერ ღონისძიებაში.

5. პალატის ორგანიზაციული სტრუქტურა

5.1. პალატის ორგანიზაციული სტრუქტურა შედგება:

5.1.1. პალატის წევრთა საერთო კრება.

5.1.2. პალატის მმართველი საბჭო [შესაძლებელია მოხსენიებული იყოს როგორც „საბჭო“].

6. პალატის წევრთა საერთო კრება

6.1. წევრთა საერთო კრება შესაძლებელია მოწვეული იქნას: [1] პალატის საბჭოს თავმჯდომარის ან წევრის ან/და [2] პალატის წევრთა საერთო ოდენობის 1/3 ის მიერ.

6.2. მოწვევის ინიციატორი პირი/პირები, კრების ჩატარებამდე 20 კალენდარული დღით ადრე დაზღვეული წერილის ან ელექტრონული შეტყობინების [E mail] საფუძველზე, ყველა წევრს ატყობინებენ: 1. კრების მოწვევის ინიციატორს 2. კრების ჩატარების დროს და ადგილს 3. კრების დღის წესრიგს.

6.3. კრება მოწვეული უნდა იქნას საქართველოს ადმინისტრაციულ საზღვრებში.

6.4. კრება გადაწყვეტილებაუნარიანია თუ მას ესწრება მინიმუმ წევრთა ¾ [სამი მეოთხედი]. თუ აღნიშნული რაოდენობით წევრები არ ესწრებიან კრებას, იგი გადაწყვეტილებაუნარიანი არ არის არც შემთხვევაში.

6.5. კრებაზე გადაწყვეტილებები მიიღება დამსწრე წევრთა მინიმუმ ¾ [სამი მეოთხედი] თანხმობით. ყოველ წევრს აქვს ერთი ხმა. ხმის გადაცემა დაუშვებელია.

6.6. პალატის საერთო კრების მსვლელობაზე დგება ოქმი, რომელსაც ხელს აწერს კრების თავმჯდომარე.

6.7. კრებას უძღვება საბჭოს თავმჯდომარე, მისი არ ყოფნის შემთხვევაში საბშო თავმჯდომარის მოადგილე, მათი არ დასწრების შემთხვევაში საერთო კრების უხუცესი წევრი.

6.8. კრება გადაწყვეტილებას იღებს შემდეგ საკითხებზე:

6.8.1. საბჭოს წევრების დანიშვნის ან ვადაზე ადრე გამოწვევის შესახებ.

6.8.2. წინამდებარე წესდებაში ცვლილებების განხორციელების შესახებ ან წესდების ახალი რედაქციით დამტკიცება.

6.8.3. პალატის მიერ ვალდებულებების აღების შესახებ თუ ეს ვალდებულებების ღირებულება აღემატება 100 000 [ასი ათასი] ლარს. არ იგულისხმება საგრანტო პროექტები, რომელთა განხორცილების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს პალატის საბჭო.

6.8.4. პალატის საკუთრებაში არსებული ქონების გასხვისების [თუ ქონების ღირებულება აღემატება 100 000 [ასი ათასი] ლარს] ან უფლებრივად დატვირთვის [იპოთეკა/გირავნობა] შესახებ.

6.8.5. საბჭოს და საბჭოს თავმჯდომარის ყოველწლიური ანგარიშების დამტკიცება.

6.8.6. პალატის რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის შესახებ.

6.8.7. საერთო კრება წელიწადში ერთხელ ისმენს პალატის მიერ განხორციელებული საქმიანობის შესახებ ანგარიშს, სტრატეგიას და სამოქმედო გეგმას.

6.8.8. იღებს გადაწყვეტილებას საწევრო გადასახადის დაწესების, ოდენობის დადგენის და მისი ადმინისტრირების წესის შესახებ. მიღებული გადაწყვეტილება სავალდებულო იქნება პალატის ყველა წევრისათვის, მიუხედავად იმისა ეს წევრი ესწრებოდა თუ არა კრებას ან მხარი დაუჭირდა თუ არა გადაწყვეტილების მიღებას.

7. პალატის მმართველი საბჭო

7.1. პალატის მმართველი საბჭოს [შემდგომ „საბჭო“] წევრები 3 წლის ვადით ინიშნებიან საერთო კრების მიერ. არ არის სავალდებულო რომ საბჭოს წევრი იმავდროულად წარმოადგენდეს პალატის წევრს.

7.2. საბჭო შედგება მინიმუმ 3 და არაუმეტეს 7 წევრისგან. საბჭოს წევრს უფლებამოსილების ვადა უგრძელდება მის ხელახლა ან მის მაგივრად სხვა პირის არჩევამდე.

7.3. მმართველი საბჭოს წევრი არ შეიძლება იყოს პირი, რომელსაც უკავია სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობა.

7.4. საბჭოს წევრს უფლებამოსილება ვადაზე ადრე უწყდება:

7.4.1. პირადი განცხადების საფუძველზე.

7.4.2. წევრთა საერთო კრების გადაწყვეტილებით.

7.4.3. სასამართლოს გადაწყვეტილებით მხარდაჭერის მიმღებად ცნობისას.

7.4.4. გარდაცვალებისას ან უგზო-უკვლოდ დაკარგულად/გარდაცვლილად აღიარებისას.

7.5. საბჭოს სხდომები - საბჭო იკრიბება მინიმუმ სამ თვეში ერთხელ, სხდომა ნებისმიერ დროს შეიძლება მოწვეული იქნას საბჭოს თავჯდომარის ან საბჭოს წევრთა ⅓-ის [ერთი მესამედი] მიერ.

7.6. სხდომის ჩატარების ადგილისა და თარიღის შესახებ შეტყობინება წევრებს ეგზავნებათ სხდომის თარიღამდე ერთი კვირით ადრე მაინც. სხდომაზე საბჭოს წევრები შეიძლება მოწვეული იქნენ წერილობით, ფაქსით ან ელექტრონული ფოსტით შეტყობინების საფუძველზე. სხდომის მოწვევის შესახებ შეტყობინებაში მიეთითება სხდომის ჩატარების ადგილი, თარიღი, დრო, დღის წესრიგი და მომწვევი პირის ვინაობა.

7.7. სხდომა გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება საბჭოს წევრთა 2/3 [პირადად ან მინდობილობის საფუძველზე უფლებამოსილი წარმომადგენლის სახით].

7.8. გადაწყვეტილებები სხდომაზე მიიღება დამსწრე წევრთა ხმათა უბრალო უმრავლესობით. საბჭოს სხდომები მიჰყავს თავმჯდომარეს, თუ თავმჯდომარე სხდომას არ ესწრება, სხდომას თავმჯდომარეობს მისი მოადგილე.

7.9. სხდომის ოქმს ხელს აწერენ სხდომის თავმჯდომარე. ოქმში, მიღებულ გადაწყვეტილებასთან ერთად, მიეთითება დამსწრე წევრების/მინდობილი პირების შესახებ ინფორმაცია.

7.10. საბჭოს წევრებს საკუთარი პოზიცია განსახილველ საკითხთან დაკავშირებით შეუძლიათ გამოხატონ/საბჭოს მუშაობაში მონაწილეობა მიიღონ დისტანციური ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენებით [სოციალური ქსელი, ელექტრონული ფოსტა, ონლაინ ვიდეო და აუდიო ზარები] და გადაწყვეტილება შესაძლებელია მიღებული იქნას ამ წესით. ასეთ შემთხვევაში სხდომის ოქმის ფორმირებას და ხელმოწერას უზრუნველყოფს საბჭოს თავმჯდომარე. ამასთან, ინახავს საბჭოს წევრების მიერ ელექტრონულად გამოხატული ნების დამადასტურებელ ინფორმაციას.

7.11. პალატის მმართველი საბჭო:

7.11.1. ამტკიცებს პალატის თავმჯდომარის მიერ წარმოდგენილ პალატის საქმიანობის სტრატეგიულ მიმართულებებს.

7.11.2. ამტკიცებს პალატის ბიუჯეტს და მომდევნო წლის ხარჯთაღრიცხვას.

7.11.3. ამტკიცებს პალატის თავმჯდომარის მიერ წარდგენილ პალატის ორგანიზაციულ სტრუტურას.

7.11.4. ორგანიზებას უწევს სხვადასხვა ღონისძიების მოწყობას პალატის წევრებისთვის.

7.11.5. იღებს გადაწყვეტილებას პირის პალატაში გაწევრების ან გაწევრებაზე უარის თქმის შესახებ.

7.11.6. იღებს გადაწყვეტილებას პირის პალატის წევრობიდან გარიცხვის შესახებ.

7.11.7. ქმნის მუდმივმოქმედ და დროებით კომიტეტებს და სამუშაო ჯგუფებს, ამტკიცებს მათი საქმიანობის დებულებას.

7.11.8. ირჩევს პალატის საბჭოს თავმჯდომარეს და მის მოადგილეს 3 წლის ვადით.

7.11.9. წყვეტს პალატის სხვადასხვა ორგანიზაციაში / გაერთიანებაში წევრობისა და იურიდიული პირის დაფუძნებაში მონაწილეობის საკითხს.

7.11.10. სარეკომენდაციო წერილით მიმართავს იმ წევრს, რომლის საქმიანობაც ეწინააღმდეგება პალატის მიზნებს, ან რომელიც უხეშად არღვევს წესდებით მასზე დაკისრებულ მოვალეობებს.

7.11.11. იღებს საბჭოს ან/და პალატის მუშაობის მარეგლამენტირებელ სხვადასხვა შიდა დოკუმენტებს.

7.11.12. იღებს გადაწყვეტილებებს პალატის საკუთრებაში არსებული ქონების გასხვისების შესახებ თუ ქონების ღირებულება აღემატება 2000 [ორი ათას] ლარს.

7.11.13. იღებს გადაწყვეტილებას საგრანტო პროექტების განხორციელების შესახებ.

7.11.14. იღებს გადაწყვეტილებებს პალატის მიერ ვალდებულებათა აღების შესახებ, რომლის ღირებულება აღემატება 5 000 [ხუთი ათასი] ლარს.

7.12. **შენიშვნა:** დაინტერესებული პირის მოთხოვნით, საბჭოს მიერ 7.11.5 ან 7.11.6 პუნქტით მიღებული გადაწყვეტილებები შეიძლება გადასინჯული იქნეს წევრთა საერთო კრების მიერ და კრებას შეუძლია დაეთანხმოს ან შეცვალოს საბჭოს გადაწყვეტილება.

7.13. წინამდებარე წესდების დამტკიცების მომენტისათვის, 3 წლის ვადით, საბჭოს წევრებად არჩეული იქნან:

7.14. წინამდებარე წესდების დამტკიცების მომენტისათვის საბჭოს თავმჯდომარედ, 3 წლის ვადით არჩეულია: ანა ისაკაძე, პირადი ნომერი 01005042773, პროფესიით იურისტი, მის: ქ. თბილისი, ივ.ჯავახიშვილის N 95, დაბადების თარიღი 17.01.1997; დირექტორის მოადგილედ

7.15. წინამდებარე წესდების დამტკიცების მომენტისათვის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ, 3 წლის ვადით არჩეულია: უჩა სეთური, პირადი ნომერი 01012006210, პროფესიით იურისტი, მის: თბილისი, ვარკეთილის მე–4 მიკრორაიონი, მე–3 კვარტალი, მე–7 კორპ, ბინა 73, დაბადების თარიღი 27.02.1977

8. პალატის წარმომადგენლობა

8.1. პალატის წარმომადგებლობაზე უფლებამოსილი პირია პალატის თავმჯდომარე, რომელიც პასუხისმგებელია პალატის ეფექტურ მართვაზე და უზრუნველყოფს საწესდებო მიზნებისა და ამოცანების განხორციელებას.

8.2. პალატის თავმჯდომარის უფლებამოსილებებია:

8.2.1. წარმოადგენს პალატას მესამე პირებთან ურთიერთობაში როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ.

8.2.2. პალატის სახელით აწარმოებს მოლაპარაკებებს, დებს გარიგებებს, გასცემს მინდობილობებს, ხსნის და ხურავს ანგარიშებს საბანკო დაწესებულებებში.

8.2.3. უზრუნველყოფს მმართველი საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესრულებას.

8.2.4. განაგებს და განკარგავს პალატის ქონებას, უზრუნველყოფს მის მოვლა-პატრონობას

8.2.5. წარმართავს პალატისა და მისი მმართველი საბჭოს საქმიანობას და ორგანიზებას უწევს მმართველი საბჭოს გადაწყვეტილებების აღსრულებას

8.2.6. საბჭოსთან შეთანხმებით შეიმუშავებს პალატის ორგანიზაციულ სტრუქტურას, საშტატო განრიგს და შრომის ანაზღაურების პირობებს.

8.3. მმართველი საბჭოს თავმჯდომარე მის მიერ გაწეულ საქმიანობასთან დაკავშირებით ანგარიშვალდებულია მმართველი საბჭოსა და საერთო კრების წინაშე.

9. პალატის ქონება და შემოსავლის წყარო

9.1. პალატას საკუთრებაში შეიძლება ჰქონდეს ნებისმიერი უძრავი და მოძრავი ქონება.

9.2. პალატის მიზნების მისაღწევად პალატა უფლებამოსილია მიიღოს დონორი ორგანიზაციების დახმარება აღჭურვილობის, ავეჯის, სალექციო მასალების და სხვა სახით

9.3. საწესდებო მიზნების მისაღწევად პალატა იღებს დონორი, ადგილობრივი და საერთაოშრისო ორაგნიზაციებისა და ფონდების, მათ შორის, სახელმწიფო ორგანიზაციებისა და ფონდების დახმარებას.

9.4. პალატის ფულადი სახსრები იქმნება საწევრო შენატანებითა და შემოწირულობებით, საგამომცემლო და საკონსულტაციო საქმიანობიდან მიღებული შემოსავლით, სასწავლო პროგრამებით გათვალისწინებული სემინარების მონაწილეთა გადასახადებით, კონფერენციების, კვლევების, ტრენინგებისა და სასწავლო კურსების ორგანიზებისა და ჩატარებისათვის მიღებული ანაზღაურებით, დამხმარე სამეწარმეო საქმიანობის შედეგად მიღებული სხვა შემოსავლებით, ასევე ყველა იმ საქმიანობიდან მიღებული შემოსავლებით, რაც დაშვებულია საქართველოს კანონმდებლობით.

9.5. პალატის სამეურნეო წელი იწყება 1 იანვარს და მთავრდება 31 დეკემბერს, გარდა პირველი წლისა, რომელიც იწყება რეგისტრაციის მომენტიდან და მთავრდება 31 დეკემბერს.

9.6. საბჭოს ან წევრთა კრებას ნებისმიერ დროს შეუძლია მოიწვიოს მესამე პირი ან თავად შექმნან დროებითი სარევიზიო კომისია, რომელსაც უფლება ექნება შეისწავლოს აღმასრულებელი რგოლის პირების საქმიანობა.

9.7. აღმასრულებელი რგოლის პირები ვალდებულნი არიან შემმოწმებელ პირს გადასცეს ყველა ინფორმაცია და დოკუმენტი, რომელიც მოთხოვნილი იქნება შემოწმების პროცესში.

10. ასოციციის რეპალატა და ლიკვიდაცია

10.1. პალატის რეპალატა და ლიკვიდაცია ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.2. ლიკვიდაციის დროს უნდა დასრულდეს მიმდინარე საქმეები, დადგინდეს მოთხოვნები, დარჩენილი ქონება გამოიხატოს ფულში, დაკმაყოფილდნენ კრედიტორები და დარჩენილი ქონება გაუნაწილდეს უფლებამოსილ პირებს.

10.3. გადაწყვეტილება პალატის ლიკვიდაციის პროცესის დაწყების შესახებ უნდა დარეგისტრირდეს მეწარმეთა და არასამეწარმეო [არაკომერციული] იურიდიული პირების რეესტრში. ლიკვიდაციის პროცესი დაწყებულად ითვლება მისი რეგისტრაციის მომენტიდან.

10.4. აკრძალულია ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების განაწილება პალატის წევრებს, ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირებს შორის.

11. დასკვნითი დებულებები

11.1. წინამდებარე წესდება ძალაში შედის ხელმოწერის მომენტიდან.

11.2. თუ ამ წესდების რომელიმე დებულება ბათილად იქნა ცნობილი, ეს გავლენას არ მოახდენს წესდების სხვა დებულებების ნამდვილობაზე.

ხელმოწერები:

1. უჩა სეთური, პირადი ნომერი 01012006210, პროფესიით იურისტი, მის: თბილისი, ვარკეთილის მე–4 მიკრორაიონი, მე–3 კვარტალი, მე–7 კორპ, ბინა 73, დაბადების თარიღი 27.02.1977

2. ანა ისაკაძე, პირადი ნომერი 01005042773, პროფესიით იურისტი, მის: ქ. თბილისი, ივ.ჯავახიშვილის N 95, დაბადების თარიღი 17.01.1997

3. გიორგი ზაკუტაშვილი, პირადი ნომერი 01007008934, პროფესიით ეკონომისტი, მის: ქ.თბილისი, აკ.წერეთლის გამზ. N77, მე-5 კორპ, ბინა 62, დაბადების თარიღი 11.07.1982